ახალი

განთიადი

„ბედნიერია ის, ვისაც სამშობლოსათვის უძგერს გული„

ელფოსტა
AxaliGantiadi@gmail.com

2016 წელი
26 თებერვალი
№ 2
№ 8108

ინოვაციების ხელშეწყობის მიზნით

გვ2.

სასმელი წყალი 30 წლის შემდეგ

გვ2.

ბიბლიოთეკა კეთილმოწყობილი სამკითხველო დარბაზით და წიგნსაცავით

გვ2.

განახლებული სამკითხველო დარბაზი

გვ34.

ივანე ჯავახიშვილი – 140

მძიმე ჭირვილი ცხოვრებილან ცოცხ რომ ვიცით...

გვ38.

მთის კანონის განხორციელებასთან დაკავშირებით

გუნდი „იბერიონი„ დაფუძნდა

გვ2.

ლაკვით ვლომპაპარებელოს მიეძღვნა

გვ34.

დოქსელი მარიამ ხეჩიკაშვილი „ელვალონი მოსწავლე„

გვ33.

გვ35-6.

ისაც ლირის ვერ წაშალა ...

ესახელოდ თოჯინები

გვ37.

„ნიკოფსი-იდან დარუბანდამდე„

გვ37.

ჯიდაობა: პირველად უფროსებში ...

გვ39.

ბოლოს ერთ-ერთ ... ...

85-ე წელი თქვენთან ერთად!

ითხმოცდა მეხუთე წელს ჩვენი გაზეთი ერთ, ვგრძნობ, ნახევს რაინის ისტორიას, ხარუს ურ უხლ ა ს ყვ ი თ ე ლ ჰ რ ე ს ს, ქმნის ჩვენი ცხოვრების შ ე უ ლ ს მ ა ზ ე ბ ე ლ მ ა ს ტ ა ნ ე ს...

2016 წელს ჩვენი გაზეთის ცვლაბილიერ 85-ე წელია. თუ ფლობთ ცვლიფერებლ ლა მნიშვნელოვან მაცვლას გაზეთის ისტორიიდან გამოგვიგზავნეთ.

გამოიწერეთ „ახალი განთიადი„!

გახდით ჩვენი მკითხველი

სასმელი წყალი 30 წლის შემდეგ

კოდისწყაროს ადმინისტრაციული ერთეულის 4 სოფლის, ჩობალაურის, ნიგოზას, ზემო და ქვემო რენეს მოსახლეობამ 30 წლის შემდეგ სასმელი წყალი მიიღო.

პროექტის წარმატებით განხორციელებასთან დაკავშირებით სოფელ ჩობალაურში იმყოფებოდნენ შიდა ქართლის მხარეში სახელმწიფო რწმუნებულ-გუბერნატორის მოადგილე გურამ მაჭარაშვილი, კასპის მუნიციპალიტეტის გამგებელი გოჩა გოჩიტაშვილი, მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი ილია ზაქარიაძე, საკრებულოს დეპუტატი კოდისწყაროს ადმინისტრაციული ერთეულიდან ნუკრი მდელაშვილი, მშენებელი კომპანიის შპს "ნდს მშენებლობა-"ს ხელმძღვანელები.

სოფელი ზემო და ქვემო რენე სასმელ წყალს სამთავისის რეზერვუარიდან იღებდა. ერთი წლის წინ დაზიანდა ტუმბოები და სოფლები წყლის გარეშე რომ არ ყოფილიყო, კასპის მუნიციპალიტეტის გამგეობა წყლის მიწოდებას აუზებით ახორციელებდა. პარალელურად, მოამზადა პროექტი - ზემო და ქვემო რენეში დაზიანებული ტუმბოების შეცვლის და დამატებით სოფელ ნიგოზა - ჩობალაურის მოსახლეობის სასმელი წყლით მომარაგების თაობაზე.

პროექტის განხორციელებამ - სოფელ ჩობალაურსა და ნიგოზაში მცხოვრები 210 ოჯახი საკუთარ სახლებში ინდივიდუალური გამრიცხველიანების საშუალებით სასმელი წყლით უზრუნველყო, ხოლო ზემო და ქვემო რენეს მოსახლეობა (259 ოჯახი), უკვე არსებული 52 საუბნო ონკანით.

პროექტი დაფინანსდა რეგიონალური განვითარების ფონდიდან და მასზე 229 770 ლარი დაიხარჯა.

მოსახლეობამ მადლობა გადაუხადა რეგიონის, ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებს და მშენებლებს მათი უდიდესი პრობლემის მოგვარებისათვის.

ინოვაციების ხელშეწყობის მიზნით

გორში ინოვაციების ხელშეწყობის მიზნით ჩამოსული საერთაშორისო ფორუმის წარმომადგენლობა კასპის მუნიციპალიტეტს სტუმრობდა.

გამგეობის სხდომათა დარბაზში კასპის მუნიციპალიტეტის სამეწარმეო პოტენციალის წარმოჩენისა და გაცნობის მიზნით ფორუმის მონაწილე ქვეყნების საქართველოს, პოლონეთის, უკრაინის, სომხეთის, შიდა ქართლის მხარის ადმინისტრაციის, ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები და მეწარმეები შეიკრიბნენ. სტუმრებს ვიდეო რგოლის ჩვენებასთან ერთად, მუნიციპალიტეტის გამგებელმა გოჩა გოჩიტაშვილმა კასპის შესახებ კონკრეტული ინფორმაცია მიაწოდა.

უცხოელმა პარტნიორებმა კასპელ მეწარმეებს საკუთარი გამოცდილება გაუზიარეს, ხოლო ადგილობრივმა მეწარმეებმა განხორციელებულ პროექტებსა და სამომავლო გეგმებზე ისაუბრეს.

ფორუმი შიდა ქართლის მხარეში სამ დღეს გაგრძელდა; მისი მონაწილეები არსებულ ბიზნესგარემოს ადგილზე გაეცნენ.

ბიბლიოთეკა კეთილმოწყობილი სამკითხველო დარბაზით და წიგნსაცავით

ქალაქ კასპში, სააკაძის ქუჩაზე განახლებული ბიბლიოთეკის პრეზენტაცია გაიმართა. ახალი ინვენტარით აღჭურვილი ბიბლიოთეკა ყოფილი ბიბლიოთეკის შენობაში გაიხსნა, რომელიც წლების განმავლობაში აღარ ფუნქციონირებდა.

ბიბლიოთეკას კეთილმოწყობილი სამკითხველო დარბაზი და წიგნსაცავი აქვს, რომელშიც წიგნადი ფონდი დარგების მიხედვითაა განლაგებული და პატარა მკითხველების ინტერესებსაც ითვალისწინებს.

ბიბლიოთეკა არა მარტო სამკითხველო, არამედ დისკუსიის, პოეტებთან შეხვედრის ადგილიც იქნება, რომელთა მოწვევასაც ეტაპობრივად განვახორციელებთ - განაცხადეს ბიბლიოთეკის თანამშრომლებმა. ბიბლიოთეკის გახსნას ესწრებოდნენ და თანამშრომლებს აღნიშნული დღე მიულოცეს კასპის მუნიციპალიტეტის გამგებელმა გოჩა გოჩიტაშვილმა, მისმა მოადგილეებმა ჯამბოლატ ქამხაძემ და თეიმურაზ ხიზანაშვილმა, საკრებულოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელმა ილია ზაქარიაძემ და გამგეობის კულტურის, სპორტისა და განათლების სამსახურის უფროსმა თეა ხორბალაძემ.

კასპის მუნიციპალიტეტის გამგებლის განცხადებით, გაუქმებული ბიბლიოთეკების აღდგენა ეტაპობრივად მოხდება.

დალი კორკომაშვილი, კასპის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის მთავარი სპეციალისტი.

გუნდი ,,იბერიონი,, დაფუძნდა

კასპის მუნიციპალიტეტში ახლახან სარაგბო გუნდი "იბერიონი" დაფუძნდა. იბერიონს ამჟამად საწვრთნელი ბაზა კასპსა და სოფელ ალიანში აქვს, სადაც სწავლება უფასოა.

კასპის რაგბის გუნდის წევრებს დღეს ყოფილი ცნობილი რაგბისტები: საქართველოს რაგბისტთა ნაკრების ყოფილი კაპიტნები ირაკლი აბუსერიძე და ირაკლი მაჩხანელი, მამუკა ნამიჭეიშვილი, ვეტერანი მორაგბე ნუგზარ მალალურაძე, საქართველოს ეროვნული ნაკრების მენეჯერი ვასილ აბაშიძე და ფრანგი რაგბისტები ეწვევიან.

სტუმრებმა ბავშვებს საჩუქრად

*დასასრული გვ8.

დოესელი მარიამ ხეჩიკაშვილი ,,ეტალონი მოსწავლე,,

წარმატებული სოციალურ-საგანმანათლებლო მედიაპროექტი "ეტალონი" თავისი არსებობის ათი წლისთავს ითვლის და შექმნის დღიდან იგი სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესის და უნეტარესის ილია მეორის ლოცვა-კურთხევით ხორციელდება.

"ეტალონსა" და მის პროექტებში მონაწილეობა აქვს მიღებული საქართველოს თითქმის ყველა კუთხისა და ქალაქის 80.000-ზე მეტ წარმატებაზე ორიენტირებულ ახალგაზრდას.

პროექტ "საქართველოს ეროვნული ინტელექტ-ჩემპიონატის" ფარგლებში "ეტალონი" საქართველოს ყველა რეგიონს ესტუმრება და "ეტალონ მოსწავლეს" გამოავლენს და დღეს უკვე სახალხო იდეად ქცეული მრავალმიმართულებიანი პროექტი "ეტალონი" მიმდინარე წლის 2 თებერვალს ქალაქ კასპს სტუმრობდა.

კასპის კულტურის ცენტრში შეკრებილ საზოგადოებასა და მოსწავლე-ახალგაზრდობას, ადგილობრივი თვითმმართველობისა და საგანმანათლებლო რესურსცენტრის წარმომადგენლებს მიესალმა "ეტალონის" ავტორი და წამყვანი გოჩა ტყეშელაშვილი, რომელმაც თავისი არაორდინალური, ენაწყლიანი გამოსვლით მოხიბლა დამსწრე საზოგადოება და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, გაამხნევა ინტელექტუალურ შეჯიბრში მონაწილე მოსწავლეები... ერთი სიტყვით, მხიარულ, ოპტიმისტურ ნოტაზე დაიწყო ინტელექტ-ჩემპიონატი, რომელშიც მონაწილეობდნენ კასპის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების მოსწავლეები. ესენი არიან: მარიამ შუბითიძე /კასპის პირველი საჯარო სკოლა, X1 კლასი/, გიორგი ქესაური /კასპის მეორე საჯარო სკოლა, 1X კლასი/, მარიამ დალაქიშვილი, კასპის მესამე საჯარო სკოლა, X1 კლასი/, გოგი გელხაური / აღაიანის საჯარო სკოლა, X1 კლასი/, თემურ მელიქიშვილი /ახალქალაქის საჯარო სკოლა, X1 კლასი/, გიორგი ქამხაძე /ზემო ხანდაკის საჯარო სკოლა, X კლასი/, მარიამ ხეჩიკაშვილი /დოესის საჯარო სკოლა, X11 კლასი/, ანა ძამუკაშვილი /თვალადის საჯარო სკოლა, X1 კლასი/, ტატო ბეჟიტაშვილი / სასირეთის საჯარო სკოლა, X1 კლასი/, ნოდარ მაყიშვილი /ქვემო ჭალის საჯარო სკოლა, X კლასი/ , თათია რევაზიშვილი, ქვემო გომის საჯარო სკოლა/, სალომე შარიფაშვილი /მეტეხის საჯარო სკოლა, X1 კლასი/, ევგენია ალიმბარაშვილი /ხოვლის საჯარო სკოლა, X11 კლასი/, თეონა ბერიანიძე /ოკმის საჯარო სკოლა, X11 კლასი/, ზაირა კუნდუხაშვილი /ლამისყანის საჯარო სკოლა/, ვახტანგ პავლიაშვილი /შპს "ბესიკ ნიპარიშვილი" მრავალპროფილიანი სკოლა გიმნაზია/.

ინტელექტუალური მარათონი ორტურად ჩატარდა და როგორც ყოველთვის ამჯერადაც პირველმა ტურმა გამოავლინა ფინალში გასული მოსწავლეები: მარიამ ხეჩიკაშვილი (დოესი), გიორგი ქამხაძე (ზემო ხანდაკი) და თეონა ბერიანიძე (ოკამი). სამი ფინალისტიდან, შეჯიბრებითობის პრინციპებიდან გამომდინარე, ყველაზე მაღალი ქულა (75) დააგროვა დოესელმა მარიამ ხეჩიკაშვილმა, სწორედ ის გახდა კასპის მუნიციპალიტეტის "ეტალონი მოსწავლე". თუმცა, სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს ის ფაქტიც, რომ პროექტ "ეტალონის" ავტორი და წამყვანი გოჩა ტყეშელაშვილი და პროექტის მთელი შემოქმედებითი ჯგუფი აღფრთოვანებას ვერ ფარავდნენ კასპელი მოსწავლეების განსწავლულობითა და ერუდიციით ანუ ერთმნიშვნელოვნად შეიძლება იმის თქმა, რომ ბავშვებმა უპრეცენდენტოდ მაღალი ქულები მიიღეს. ამიტომაც იყო, რომ შეხვედრის განმავლობაში დარბაზში ისმოდა წამყვანის რეფრენი: "ან ვიღაცამ მომპარა კითხვები ანდა კასპში ძალიან ნიჭიერი ბავშვები არიან".

— საქვეყნოდ ცნობილი მედია პროექტი "ეტალონი" პოპულარობით სარგებლობს მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების მოსწავლეებში, — განაცხადა ღონისძიებაზე სიტყვით გამოსვლისას კასპის მუნიციპალიტეტის რესურს ცენტრის უფროსის მოვალეობის შემსრულებელმა რუსუდან მიგრიაულმა, — წლების განმავლობაში აქტიურად მონაწილეობენ საგანმანათლებლო-იტელექტუალურ შეჯიბრში და თვალსაჩინო შედეგებსაც აღწევენ, ამის ნათელი დასტური გახლავთ დღევანდელი ღონისძიება, რომელსაც უამრავი ჩვენი თანაქალაქელი დაესწრო, მათ შორის იყვნენ მოსწავლეები და მათი მშობლები. მისასალმებელია, რომ ახალგაზრდა თაობა ეჩვევა სამართლიან, ობიექტურ, კონკურენტულ გარემოში შეჯიბრებაში მონაწილეობას. დიდი იმედი მაქვს ჩვენი დღევანდელი "ეტალონი მოსწავლე," მარიამ ხეჩიკაშვილი საუკეთესო იქნება ფინალში.

და ეს ფინალი გაიმართება გაზაფხულზე, კერძოდ 2016 წლის 21 მაისს, თბილისის სპორტის სასახლეში, სადაც უნდა გამოვლინდეს ყველაზე იღბლიანი, ერუდირებული მოსწავლე და რომელსაც მიენიჭება ტიტული: "2015-2016 სასწავლო წლის საქართველოს ეტალონი მოსწავლე." ინტელექტუალურ შეჯიბრში მონაწილე და გამარჯვებულ ეტალონელებს მიესალმნენ, სპეციალური დიპლომი და სიგელები გადასცეს კასპის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელმა ილია ზაქარიაძემ და განათლების, კულტურის, სპორტის, ძეგლთა დაცვისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსმა თეა ხორბალაძემ. ღონისძიებას კიდევ უფრო საზეიმო ელფერი შესძინა და გაამრავალფეროვნა მუნიციპალიტეტის ფოლკლორულმა ანსამბლმა "მოურავმა", ღონისძიების ბოლოს ეტალონის ავტორმა და წამყვანმა გოჩა ტყეშელაშვილმა თანადგომისა და ხელშეწყობისათვის ადგილობრივ ხელმძღვანელებს, განსაკუთრებით მუნიციპალიტეტის გამგებელს გოჩა გოჩიტაშვილს მადლობა გადაუხადა.

მთის კანონის განხორციელე-ბასთან დაკავშირებით

საქართველოს რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს თვითმმართველობის განვითარებისა და რეგიონალური პოლიტიკის დეპარტამენტის უფროსის მოადგილემ ოთარ კონჯარიამ კასპის მუნიციპალიტეტის გამგეობაში მთის კანონის განხორციელებასთან დაკავშირებით სამუშაო შეხვედრა გამართა.

შეხვედრას კასპის მუნიციპალიტეტის გამგეობის მთის კანონთან დაკავშირებით შექმნილი სათათბირო ორგანო - საბჭოს თავმჯდომარე, წევრები და მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პირის სტატუსის მინიჭების, შეწყვეტის, შეჩერებისა და აღდგენის პროცესებზე მომუშავე უფლებამოსილი პირები ესწრებოდნენ.

მათ იმსჯელეს სამუშაო პროცედურებზე, პრინციპსა და განხორციელებისას მაღალმთიანი სოფლის სტატუსის მცხოვრებთა კანონის შედეგად მიღებულ სარგებელზე.

კომისიის წევრების კითხვებს, ოთარ კონჯარიამ ამომწურავად უპასუხა.

მცირემიწიანი ფერმერების სტიმულირება გრძელდება

კასპის მუნიციპალიტეტის გამგეობაში მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში გამგებლის წარმომადგენლებს სასოფლო-სამეურნეო ბარათები და მისი მოხმარების ინსტრუქცია გადაეცათ.

საქართველოს მთავრობამ 2016 წლის 18 იანვრის №52 განკარგულების "მცირემიწიან ფერმერთა 2016 წლის საგაზაფხულო სამუშაოების ხელშეწყობის პროექტის დამტკიცების შესახებ" მიზანია, 2016 წლის საგაზაფხულო სასოფლო-სამეურნეო პირველადი წარმოების აგროტექნოლოგიური ღონისძიებების განხორციელების ხელშეწყობით, მცირემიწიანი ფერმერების საქმიანობის სტიმულირების გაგრძელება, მათი მდგრადად განვითარება და ფერმერულ მეურნეობებად ჩამოსაყალიბებლად.

მუნიციპალიტეტში მოსული 12 330 ცალი ბარათი წარმომადგენლებს სოფლის მეურნეობის სამინისტროს რეგიონებთან კოორდინაციის დეპარტამენტის მთავარმა სპეციალისტმა გიორგი მღებრიშვილმა, კასპის მუნიციპალიტეტის საინფორმაციო-საკონსულტაციო ცენტრის უფროსმა სულიკო ირემაშვილმა და ამავე სამსახურის უფროსმა სპეციალისტმა თამარ ხატიაშვილმა გადასცეს.

მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში გამგებლის წარმომადგენლები ვაუჩერებს და მოხმარების ინსტრუქციას მოსახლეობას სახლებში გადასცემენ.

განახლებული სამკითხველო დარბაზი

თებერვლის დასაწყისში კასპში, "ქეჩარუხის" დასახლებაში / საააკაძის ქუჩა №59/ ოფიციალურად გაიხსნა საქალაქო ბიბლიოთეკა. გახსნის საზეიმო ცერემონიალს ესწრებოდნენ ქალაქის საზოგადოებრიობის წარმომადგენლები, კულტურისა და განათლების მუშაკები, მოსწავლეები, ახალგაზრდები, ადგილობრივი თვითმმართველობის ხელმძღვანელი მუშაკები, პრესის წარმომადგენლები... აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ბიბლიოთეკა კვლავ განთავსდა თავის კუთვნილ შენობაში, კუთვნილ ადგილსამყოფელში, რომელიც სასოფლო და საბავშვო ბიბლიოთეკებთან ერთად 2009 წელს გაუქმდა. თუმცა საბედნიეროდ სულ ახლახან საქართველოს მთავრობის მიერ მიღებულ ერთ-ერთ მეტად მნიშვნელოვან ინიციატივას "აღდგეს ბიბლიოთეკები" დროულად გამოეხმაურა კასპის მუნიციპალიტეტის გამგებელი და გასული წლის ზაფხულიდან მოყოლებული წლის ბოლომდე მიმდინარეობდა გაუქმებული ბიბლიოთეკის ოთახების სარეაბილიტაციო და აღდგენითი სამუშაოები...

— სამშენებლო სამუშაოების დაწყებამდე, დადგენილი წესის თანახმად გამოცხადდა ტენდერი, — აცხადებს ბიბლიოთეკების გაერთიანების დირექტორი თეა ბარნაბიშვილი, — და გამარჯვებულმა სამშენებლო ფირმამ / "საქევროსტანდარტი"/ დაიწყო კაპიტალური სარეაბილიტაციო და სამშენებლო სამუშაოები, კერძოდ, ჩატარდა შიდა ინტერიერისა და გარე ფასადის აღდგენა- გარემონტება. აქვე მინდა ყურადღება გავამახვილო ერთ, ძალიან სერიოზულ დეტალზეც, მოგეხსენებათ, გაუქმებული ბიბლიოთეკის ოთახები ირიცხებოდა ეკონომიკის სამინისტროს ბალანსზე და ცხადია, აუცილებელი გახდა ამ საკითხის მოგვარებაც. ამიტომ, თხოვნის წერილით მივმართეთ ეკონომიკის სამინისტროს, რათა აღნიშნული ფართით სარგებლობის უფლება მისცემოდა კასპის მუნიციპალიტეტს, ხოლო მას შემდეგ, რაც ეს თემაც ამოიწურა, უკვე ინტენსიურად დაიწყო ჩვენი გეგმის განხორციელება.

მოკლედ, იცით ალბათ, რომ მშენებლობის დაწყება და მისი მოკლე ვადაში დასრულება ყველას არ გამოსდის და არც ისე მარტივი საქმეა, მაგრამ როგორც იტყვიან, საქმე მონდომებით, ორგანიზებულად კეთდებოდა და მშენებლებმაც, დამკვეთმაც პირნათლად შეასრულა დავალება... ერთი სიტყვით, თანამედროვე სამშენებლო მასალების გამოყენებით ძალიან ლამაზად, რაც ყველაზე მთავარია, ხარისხიანად გაკეთდა ყველაფერი, საიმედოდ დამონტაჟდა სველი წერტილები, ჩაისვა ახალი კარ-ფანჯარა, ჭერი, იატაკი, ცენტრალური გათბობა. ბიბლიოთეკის გახსნამდე, გალამაზებული სამკითხველო დარბაზი აღიჭურვა ახალი ინვენტარით, რბილი ავეჯით, კომპიუტერით. ახლა უკვე "ქეჩარუხის" დასახლების მაცხოვრებლებს აქვთ კომფორტული, ყველაფრით უზრუნველყოფილი ბიბლიოთეკა. ამ უბნის ყველა ასაკის მკითხველს შესაძლებლობა მიეცემა ისარგებლოს შემეცნებითი, მხატვრული თუ სამეცნიერო ხასიათის ლიტერატურით, ყველასათვის ხელმისაწვდომი იქნება ახალი პრესა, თითქმის ყველა დასახელების ჟურნალ-გაზეთი.

— მარტო ამ უბნელებს კი არა, მთელი ქალაქის მოსახლეობას მინდა სიამოვნებით ვაუწყო ახალი ბიბლიოთეკის გახსნა, — განაცხადა კასპის მუნიციპალიტეტის გამგებელმა გოჩა გოჩიტაშვილმა, — იმედი მაქვს, რომ ეს განახლებული და თანამედროვე ტექნიკით აღჭურვილი სამკითხველო დარბაზი უამრავი საინტერესო, კულტურული შეხვედრების ადგილი გახდება. დარწმუნებული ვარ, რომ ბიბლიოთეკა არა მხოლოდ მკითხველებს მოემსახურება, არამედ იგი შეიძლება საკონფერენციო დარბაზად გამოვიყენოთ და ახლა აქ თამამად შეგვიძლია მოვიპატიჟოთ გამოჩენილი მწერლები და პოეტები, ხელოვნებისა და კულტურის წარმომადგენლები, სპორტსმენები, აქ შეიძლება დისპუტების გამართვა, მოსწავლეებთან და სტუდენტებთან შეხვედრები და სხვა კულტურული ღონისძიებების ჩატარება.

ბიბლიოთეკამ პირველი მკითხველები უკვე მიიღო. ამ საინტერესო სიახლით მადლიერებასა და კმაყოფილებას გამოთქვამენ ქეჩარუხელები, პირობებით, ახალი გარემოს შექმნით კმაყოფილები არიან აგრეთვე თანამშრომლებიც, რომლებსაც კომფორტულ და სასიამოვნო გარემოში უწევთ მუშაობა. როგორც მათთან საუბრისას გაირკვა, ტექნიკური პროგრესის დანერგვა, კომფორტი დადებითად აისახება მათ ყოველდღიურობაზეც...

სოსო სულუაშვილი: სწორედ იმ კორპუსში ვცხოვრობ, სადაც ბიბლიოთეკა გაიხსნა. წლების განმავლობაში უფუნქციოდ დარჩენილმა ადგილმა ახალი სიცოცხლე შეიძინა, ძალიან გახარებული ვართ, შორს წასვლა აღარ დაგვჭირდება ახალი ჟურნალ-გაზეთების მოსაძიებლად, არადა, ნამდვილად გვიჭირდა პრესის გარეშე ყოფნა, ხომ იცით, რომ ახლა ნებისმიერ ადამიანს არ შეუძლია ჯიხურში სასურველი გაზეთის ყიდვა. ახლა კი, ძალიან გამიმართლა, აქვე ყურისძირში მაქვს სამკითხველო დარბაზი, რომლითაც დღის ნებისმიერ დროს შეიძლება სარგებლობა.

ვალია კორკოტაშვილი: პენსიონერი ვარ, მეც ამ კორპუსში ვცხოვრობ და კარგად ვიცი, თუ რა ძნელია აქედან ქალაქის ცენტრში გაზეთის საყიდლად წასვლა, ბევრჯერ საშუალებაც არ მქონია, რომ გაზეთი მეყიდა. ჩვენთვის აქ ბიბლიოთეკის გახსნა, სწორედ რომ დიდი ფუფუნებაა, ბევრი რამე გვჭირდება, ხანდახან საჭმლის ნატრულებიც კი ვართ, მაგრამ ახალ გაზეთისთვის ფულს მაინც გავიმეტებ ხოლმე. მადლობა მათ, ვინც ხალხზე იზრუნა, უკვე ვიყავი ახალ სამკითხველო დარბაზში, შესანიშნავი პირობებია შექმნილი, ნამდვილად კომფორტულად ვიგრძენი თავი.

ზოია მუმლაური: ვერ წარმოიდგენთ, რამხელა შეღავათია ჩვენი დასახლებისათვის ბიბლიოთეკის არსებობა, თანაც ასეთი კეთილმოწყობილი, ყველაფრით აღჭურვილი კულტურული დაწესებულება. იგი ყველას წაადგება, განსაკუთრებით დიდ სამსახურს გაუწევს მოსწავლეებსა და სტუდენტობას.

კასპის მუნიციპალიტეტის ბიბლიოთეკების გაერთიანება.

დავით აღმაშენებელს მიიძღვნა

მსოფლიოში ცნობილი ერთ-ერთი რეიტინგული ვებგვერდი "საუკეთესო ათეულები" მსოფლიო მასშტაბით ატარებს სხვადასხვა პროფილის გამოკითხვებს და ხალხი თავად ასახელებს რჩეულ ადამიანებს. სწორედ ერთ-ერთი ასეთი მასშტაბური გამოკითხვის მიზანი გახლდათ მსოფლიო ყველა დროის 10 საუკეთესო სამხედრო მეთაურის გამოვლენა.

გამოკითხვების მიხედვით ქართველთა მეფე დავით აღმაშენებელი (გამოკითხულთა 13 პროცენტი) დასახელდა პირველ ადგილზე.

შემდეგი ადგილები ასე გადანაწილდა: ალექსანდრე მაკედონელი /გამოკითხულთა 12 პროცენტი/, ტრან ჰუნგ დაო /გამოკითხულთა 8 პროცენტი/, ნაპოლეონ ბონაპარტი /გამოკითხულთა 7 პროცენტი/.

აი რას წერენ წმინდანად შერაცხულ ქართველ მეფეზე უცხოელები: " 1121 წელს დავითმა 55. 000-იანი არმიით დაამარცხა სელჩუკები, რომელთა არმიაც 600. 000 მეომრისაგან შედგებოდა. ეს იყო "ძლევაი საკვირველი". დავითი იყო ერთ-ერთი ყველაზე დიდი სამხედრო მეთაური, რომელიც მსოფლიოს უნახავს — მეფე რომელმაც შეძლო ნანგრევებისაგან აეშენებინა თავისი ქვეყანა და ექცია ის უძლიერეს სახელმწიფოდ აღმოსავლეთ ევროპაში... თამამად შეიძლება იმის თქმა, რომ ქვეყანაზე არ არსებობდა უფრო ინტელიგენტური, მამაცი და განათლებული მეფე... მისი მმართველობა დაიწყო, როცა ის სულ რაღაც 16 წლისა იყო და ჩაიბარა ღარიბი, დანაწევრებული და განადგურებული სახელმწიფო... 36 წლის განმავლობაში მან შეძლო ყველაფრის შეცვლა საქართველოში.

დავითი არ იყო მხოლოდ საუკეთესო სამხედრო მეთაური, ის იყო გენიოსი... მან გაატარა სასამართლოს, არმიის, ეკლესიის და "ჯაშუშთა" / მსტოვართა/ აპარატის რეფორმები. დავითმა შეძლო საქართველოს განვითარება და დაუმკვიდრა მას მტკიცე ადგილი დიდი იმპერიების გვერდით"...

 აი სწორედ ამ თემებზე ისაუბრეს კასპის მთავარი ბიბლიოთეკის სა

*დასასრული გვ10.

რაც დრომ ვერ წაშალა ...

ნორა ედიშერაშვილი

დავალება, რომელიც, რაიონული გაზეთის რედაქციაში, სტუმრად მისულს, ღიმილთან და სითბოსთან ერთად დამახვედრეს, არც შემთხვევითი იყო და არც უსაფუძვლო.

"ახალი განთიადი" იუბილარია. მას, 2016 წლის 7 ნოემბერს, 85 წელი უსრულდება. საამისოდ, რედაქცია თადარიგს იჭერს: შემოღებულია რუბრიკა: "ახალი განთიადი"-85, მზადდება ნარკვევების კრებული, რომელშიც შევა მოგონებები, წერილები, მილოცვები, ფოტო-მასალა... ყველაფერი ის, რითიც ცხოვრობდა და სულდგმულობდა გაზეთი, მთელი რვა ათეულ წელზე მეტი, ობიექტურად და რეალურად ასახავდა მიმდინარე მოვლენებს, ყოფა-ცხოვრებას, შენებას, კატაკლიზმებს... ერთი სიტყვით, იმას, რითაც სავსე იყო მეოცე საუკუნის 30-იანი წლების, შემდგომი, საქართველო და მათ შორის, კასპის რაიონიც, ვიდრე, აქნობამდე.

მეტად საშური საქმეა, მით უფრო, მაშინ, როცა გამოჩნდნენ მკვლევარები, რომლებიც წერენ კასპის ისტორიას და მის ფურცლებზე ადგილი ვერ მოიძებნა ცნობებისთვის რაიონულ პრესაზე. თითქოს, იგი არც არსებობდა, არც ცოცხლობდა, არც მემატიანე ეთქმოდა... ერთის თქმა დაბეჯითებით შეიძლება - რაიონის ისტორია, რომელიც გვერდს აუვლის ადგილობრივი პრესის როლსა და მნიშვნელობას, სრულყოფილი არ არის.

წლების განმავლობაში, გაზეთის ერთ-ერთი თანამშრომელი გახლდით, მათთან ერთად ვწიე ჭაპანი, მხრებით ვზიდე არც თუ, მსუბუქი ტვირთი, განვიცადე სიხარული და ტკივილი, შური და ბოროტება, გამარჯვება და მარცხი, რითიც, ასე სავსე იყო რედაქციის ცხოვრება და ზოგჯერ, მეტად თავსაყრელიც...

დავალება მივიღე გაზეთის ახლანდელი რედაქტორის, ქალბატონ ნანა მერებაშვილისაგან: რომ მეხსიერებაში აღვადგინო გაზეთის ცხოვრების წლები და ქაღალდის ფურცლებზე გადავიტანო, თუნდაც, პირველი დღე, როცა გაზეთ "კომუნიზმისაკენ"-ის (მაშინ ასე ერქვა ამ გაზეთს) რედაქციაში სამუშაოდ მიმიღეს ...

იმ დღეს, როცა გაზეთის რედაქციაში ფეხი შევდგი, როგორც თანამშრომელმა, 50 წელი მაშორებს. ბევრი რამ დავიწყებას მიეცა, დაილექა, გადაიხაზა, ამიტომ, მეხსიერების პატრუქით უნდა მივადგე წარსულში "გამოკეტილ ჩანაწერებს", აღვადგინო ის დღე, რომელმაც დასაბამი მისცა ჩემს ნამდვილ (და არა შტატგარეშე) ჟურნალისტურ ცხოვრებას. მაგრამ, არის კიდევ ერთი გარემოება, რომელსაც გვერდს ვერ ავუვლი. ხომ დღესავით ნათელია, რომ გაზეთის რედაქციაში, სამუშაოდ არავინ მიმიწვევდა, თანაც, სწავლულ აგრონომს (რომელიც უმაღლესი სასწავლებლის დიპლომში მიწერია), საამისო საფუძველი რომ არ ჰქონოდათ?!

ჩემს ჟურნალისტურ ცხოვრებას, დასაბამი მიეცა ხოვლის საშუალო სკოლაში, როცა, 1950 წელს, მე-9 კლასელი გოგონა, მოსწავლეთა საერთო კრებაზე კედლის გაზეთის რედაქტორად ამირჩიეს...

1959 წელს გაზეთ "კომუნისტს" გავუგზავნე სტატია "ელოდე და იმედი იქონიე" (სათაური ავიღე ალექსანდრე დიუმას რომანიდან მონტე-კრისტო), მაშინვე რედაქციაში გამომიძახეს, რათა, ახლოს გაეცნოთ წერილის ავტორი. მივედი და, გაოცებაც ვერ დამალეს, განყოფილების გამგემ, მწერალმა სტეფანე მხარგრძელმა, ჩემი დანახვისას თქვა: მე უფრო სხვა პიროვნებას ველოდი, არ მეგონა, ასეთი წერილის ავტორი, პატარა გოგო თუ იქნებოდაო. ის წერილი, 1959 წლის ოქტომბერში, სხვაგვარი ვარიანტით გამოქვეყნდა (ის პირველი ვარიანტი ჩემს არქივში ინახება), და აღებულმა პირველმა ჰონორარმაც სითამამე შემძინა.

ასე შევაღე დიდი პრესის კარები, მერე, კასპის რაიონული გაზეთის, "კომუნიზმისაკენ"-ის ფურცლებზე, მთელი გვერდი დამითმეს, დაიბეჭდა ნარკვევი: "ჩემი სოფლის ერთი დღე" (13 აგვისტო, 1961 წელი), რომელსაც, მალე მოჰყვა ლექსები, წერილები...

კასპის რაიონული გაზეთის რედაქციაში, როგორც შტატგარეშე კორესპონდენტი, პირველად წარმადგინა, მშრომელთა წერილების განყოფილების მაშინდელმა გამგემ, შესანიშნავმა პიროვნებამ და ჟურნალისტმა, კოტე ამაშუკელმა, რომელთანაც ხვდებოდა ჩემს მიერ გაგზავნილი წერილები. თბილად მხვდებოდნენ რედაქტორი ალექსანდრე ბეჟანიშვილი, მისი მოადგილე გიორგი მალაციძე (რომელსაც, ლომის წილი უდევს, შემდგომ, მათთან, ჩემს გადაყვანაში), პასუხისმგებელი მდივანი, მწერალი გიორგი ხორგუაშვილი, თანამშრომლები ნათელა ფარემუზაშვილი, ვალია თამაზაშვილი, ანეტა დავითაშვილი, კორექტორი ზინაიდა ქისტიშვილი და სხვები, თუმცა, ეს შეხვედრები იშვიათად ხდებოდა, რადგან, ვმუშაობდი კასპის პურ-პროდუქტების საწარმოში, ლაბორანტად და თავისუფალი დრო ნაკლებად მქონდა...

ამ პერიოდში, 1962 წელს, რაიონების რეორგანიზაცია მოხდა, კასპს მიაკუთვნეს სამრეწველო ქალაქის სტატუსი, სოფლები შეუერთეს გორის რაიონს. დახურეს გაზეთ "კომუნიზმისაკენ"-ის რედაქცია და თანამშრომლების ნაწილი გადაიყვანეს გორის რაიონულ გაზეთ "გამარჯვების" რედაქციაში. მეც ამ გაზეთის აქტიური შტატგარეშე კორესპონდენტი გავხდი.

ჩემი პროტეჟე და წარმდგენი გორელ ჟურნალისტებთან, სწორედ გიორგი მალაციძე გახლდათ და ამ ომგადახდილმა კაცმა, დიდებულმა მამულიშვილმა და უკეთილშობილესმა პიროვნებამ, დიდი როლი ითამაშა ჩემს ცხოვრებაში, დახმარების, დაოსტატების, რედაქციაში გადმოყვანის, გამოცდილების გაზიარების თუ სხვა სასიცოცხლო საკითხების მოგვარების თვალსაზრისით. მუხლს ვიდრეკ მისი ნათელი ხსოვნის წინაშე! ამ პერიოდში, მე კავთისხევის საბჭოთა მეურნეობაში, აგრონომ - ბრიგადირად ვმუშაობდი (გადამიყვანეს კასპის რაიონის კულტურის სახლიდან, სადაც დირექტორის თანამდებობა მეკავა, მოხდა ისე, რომ ველისციხელებმა, რომლებიც დაუსწრებლად, აგრონომიულ განათლებას იღებდნენ, გადაწყვიტეს კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში ჩამორჩენილ ბრიგადებს ჩასდგომოდნენ სათავეში, სწორედ მათ საპასუხოდ გამიშვეს კავთისხევში,

ჩემი დაწინაურებული ბრიგადა არავის უნახავს, მაგრამ გამოცდილება შევიძინე, ხალხი გავიცანი, რომლებიც, ჩემი რესპონდენტები გახდნენ და ნარკვევების გმირებად იქცნენ).

ამ დროს, უკვე აღდგენილია (1965 წლის დეკემბრიდან) და მუშაობს კასპის რაიონული გაზეთის რედაქცია, ჩვეული პერიოდულობით გამოდის "კომუნიზმისაკენ" (ძველი სახელწოდებით, გაზეთი, მკითხველმა მიიღო 1966 წლის პირველ იანვარს). სრულყოფილად არის დაკომპლექტებული შემოქმედებითი და ტექნიკური, აგრეთვე სტამბის კოლექტივები...

მხოლოდ ერთხელ, მოვინახულე ახლად აღდგენილი რედაქცია, ძველი მუშაკებიდან, შევხვდი ქალბატონ ზინაიდა ქისტიშვილს, რომელიც კორექტორად აღედგინათ და რედაქტორის მოადგილეს, გიორგი მალაციძეს, რომელმაც წარმადგინა ახალ რედაქტორთან, გურამ კლდიაშვილთან და შევთანხმდით, რომ ვითანამშრომლებდი მათთან, როგორც შტატგარეშე კორესპონდენტი. მაგრამ, საზოგადოება "ცოდნის" რაიონული ორგანიზაციის კონფერენციაზე ჩემმა დასწრებამ ვითარება შეცვალა. მისი დამთავრების შემდეგ, რაიკომის მეორე მდივანმა, გიორგი გოგიაშვილმა, კაბინეტში დამიძახა და გადმომცა რედაქციის თხოვნა: გადავსულიყავი მათთან სამუშაოდ. წინადადებას არც დავთანხმდი და არც უარვყავი, უბრალოდ, დავინტერესდი, თუ რა თანამდებობას მთავაზობდნენ. მაშინ, გოგიაშვილმა რედაქციაში დარეკა და რედაქტორი თავისთან იხმო: - ნორა ედიშერაშვილი, აგერ, ჩემთან არის და თავად ელაპარაკეო. რამდენიმე წუთში, კაბინეტში, გურამ კლდიაშვილი შემოვიდა, მოგვესალმა, გოგიაშვილმა ჩემი თავი

*დასასრული გვ6.

რაც დრომ ვერ წაშალა ...

*დასასრული. დასაწყისი იხ გვ5.

წარუდგინა და თანხმობა ისე გადასცა, როგორც ვუთხარი: - რა თანამდებობაზე მიწვევდნენ სამუშაოდ. კლდიაშვილს ესიამოვნა ჩემი ნახევარი

თანხმობა და მითხრა: მშრომელთა წერილების განყოფილების გამგედ დაგნიშნავ და ყველა პირობას შეგიქმნი, ნორმალური მუშაობისთვისო. მაგრამ, იყო კიდევ ერთი დამაბრკოლებელი

მიზეზი: ბინა, რადგან ხოვლეში ვცხოვრობდი და ყოველ დღე მატარებლით მომიხდებოდა სიარული, რაც, დილით დაგვიანებას გამოიწვევდა (ბორჯომის მატარებელი, კასპში, დილის 9 საათსა და 30 წუთზე ჩამოდიოდა), კლ-

დიაშვილი ამაზეც თანახმა იყო და შეთანხმებაც შედგა. კიდევ ერთი პრეტენზია წამოვაყენე: ეცლიათ ჩემთვის და ხოვლის სკოლაში თებერვლის ბოლომდე დავრჩენილიყავი (იმ დღეს 20 თებერვალი იყო) და რედაქციაში მუშაობას პირველი მარ-



ტიდან შევდგომოდი. კლდიაშვილმა ხელები გაასავსავა: - რას ამბობთ, არავითარი პირველი მარტი, მთელი კვირაა ფოსტა არავის გაუხსნია, გაზეთს ძალიან სჭირდებით და ხვალ რედაქციაში გამოცხადდითო. და აი, 21 თებერვლის დილას, ჩემი მოსწავლეები სკოლისკენ რომ მიიჩქაროდნენ, მე ავტობუსში ვჯდებოდი და გრაკლის სადგურისკენ მივეშურებოდი. 10 საათზე კი, კასპში, პირველი მაისის (დღევანდელი ფარნავაზის) ქუჩაზე მდებარე, გაზეთ „კომუნიზმისაკენ"-ის რედაქციაში შევდგი ფეხი, როგორც თანამშრომელმა, და არა შტატგარეშე კორესპონდენტმა, როგორც აქამდე მიცნობდნენ.

მიჭირს, ახლა, იმ განცდების თუ სულიერი მღელვარების გადმოცემა, მაგრამ, თბილი და ღიმილიანი სახეების დავიწყება, მაინც შეუძლებელია... პირველი, ვისთანაც, მისვლისთანავე წარვდექი, გიორგი მალაციძე გახლდათ, მან, მაშინვე გამოთქვა კმაყოფილება, რომ მისი თხოვნით მოხდა ჩემი გადმოყვანა, - აბა, შენ იციო,- მითხრა,- იმედი მაქვს, გამიმართლებო, ხელი მომკიდა და რედაქტორთან შემიყვანა. ამ შეხვედრამ მთელი ჩემი ცხოვრების მომავალი განსაზღვრა, არასოდეს დამავიწყდება გურამ კლდიაშვილის ღიმილი, ნათელი, სხივჩამდგარი თვალები და შეგებებული იუმორი, რომელმაც გაგვაძლებინა.

რედაქცია, კასპის ცემენტის ქარხნის სასტუმროს შენობაში იყო მოთავსებული და სამი ოთახი ჰქონდა გამოყოფილი (მერე დაგვიმატეს ორი ოთახი).... შემიყვანეს პასუხისმგებელი მდივნის ლევან ელისაბედაშვილის ოთახში, მან კი მიჩვენა სამუშაო მაგიდა და მითხრა: - ეს მაგიდა შენია, აბა, შენ იცი, წერილები ნომრისთვის შუადღემდე უნდა მოამზადო, სტამბა გველოდება, იმუშავე!..

წინ, მაგიდასთან, სოფლის მეურნეობის განყოფილების გამგე, ირაკლი სოზიაშვილი დგას და მიღიმის, წასასვლელად ემზადება, სოფლებში მიდის, მასალის ასაღებად. აქეთ, კორექტორი, ზინაიდა ქისტიშვილი სტამბიდან მოტანილ ანაბეჭდებს კითხულობს და წუხს; ვინ უნდა მიშველოს, დედნებთან შედარებაო. ლევანი ამშვიდებს: - აგერ, ახალი თანამშრომელი გვყავს და მორიგეც ეგ იქნებაო. მე დაბნეული შევყურებ ყველას, ფოსტას ვათვალიერებ, უფრო საჩივრებია, ჟურნალში, აღრიცხვაზე ამყავს და რედაქტორთან შემაქვს.

- როგორ მოეწყვე, ალლო აულე სამუშაოს?- მეუბნება სხივგაბადრული გურამი, - წერილი აუცილებლად უნდა დაწერო, თემა შეუზღუდავი გაქვს, თუმცა, საჩივრების გარდა, შენს განყოფილებაში შემოდის მრეწველობა, მედიცინა, ვაჭრობა, ლიტერატურა და ხელოვნება, სოციალური საკითხები, არ შეგეშინდეს, მალე მანქანა გვექნება და მუშაობა გაგვიადვილდება.

სამუშაო ოთახში შეფიქრიანებული ვბრუნდები, მაგიდასთან ვჯდები, კალამს ვიღებ და... წამით, თვალწინ, დილანდელი ჩემი წამოსვლა მიცოცხლდება, მოსწავლეების გაოცებული სახეები, უთქმელად რომ მეუბნებოდნენ: - სად მიდიხარ, მასწავლებელო, პირველი გაკვეთილი მეღვინეობა გვაქვსო... მაგრამ, ამაზე ხომ არ დავწერ საგაზეთო წერილს?... ემოციურმა ფიქრებმა საკმაო დრო წამართვა: არც ვინმესთან შეხვედრა მაქვს მონიშნული, არც მასალები აღებული... ეს ყველაფერი, ისე სწრაფად მოხდა, რომ საამისოდ არ ვიყავი მზად, ჰოდა, ახლა ვზივარ და ვფიქრობ; ვისზე ან რაზე დავწერო? უცებ, ჩემი მეზობელი, თამარ მერებაშვილი დამიდგა თვალწინ, დილას, უთენია რომ იყო ბალში გამოსული, ბარავდა და ხელით მანიშნებდა, სად მიდიხარო, მისი ბიოგრაფიიდან ხომ ვიცი ცოტაოდენი რამე, დანარჩენს, იმ პრაქტიკიდან ავიღებ, კავთისხევის საბჭოთა მეურნეობაში რომ ვნახე და განვიცადე, თანაც, თემა შეუზღუდავი მაქვს, მგონი, არც ამ უკეთილშობილეს, უღალატო და ფუტკარივით მოფუსფუსე კაცს,- როგორც მე მაშინ

ალვიქვი და არც შევცდი,- ირაკლი სოზიაშვილს ეწყინება, რადგან, წამიერი ფიქრით, სოფლის მეურნეობისკენ გავიხედე ....

კალამს ვიღებ და ქაღალდზე თავისით გარბის სტრიქონი: მარჯვენას უქებენ თამარს... ნარკვევი რამდენიმე წუთ-

ში გავამზადე და რედაქტორს შევუტანე. გურამმა წაიკითხა, დაიბეჭდოსო, - დააწერა და მითხრა; გამოცდა კარგად ჩააბარეო. ნარკვევი, ამ სათაურით, მეორე დღეს, 22 თებერვალს იხილა მკითხველმა და მეც, სწორედ იმ ნომრიდან

დავიწყე სტამბაში მორიგეობა, ურთიერთობის დამყარება ასოთამწყობებთან, დამკაბადონებელთან, მბეჭდავებთან და სხვებთან, და რაც მთავარია, კორექტორთან, რომელიც რედაქცია-სტამბის დედა ტერეზა (და არა მარტო მათი) გახლდათ და ჩემი მასპინძელიც (გაზეთზე მორიგეობისას, ხშირად, მათ სახლში მიწევდა დარჩენა, რადგან ბინა, კასპში, მხოლოდ 1969 წელს მომცეს და მანამდე, სიარული, ხოვლიდან მიხდებოდა).

ასე დაიწყო ჩემი პირველი დღე გაზეთ „კომუნიზმისაკენ"-ის („განთიადი" 1967 წლის გაზაფხულიდან ეწოდა) რედაქციაში, რომელიც, მთელი 27 წელი გაგრძელდა... წამოსვლისას, კი, თან გამომაყოლეს თბილი მოგონებები, სიხარული, და ყველა ის შუქ-ჩრდილი, რაც გვავსებდა, გვაშფოთებდა, გვახარებდა, გვტკიოდა, გვაწუხებდა მთელი იმ წლების განმავლობაში. ვფიქრობ, კალამი გამექცა, სჯობია, დროებით, აქ შევჩერდე, მრავალწერტილი დავსვა და შემდგომისთვის შემოვიტოვო მოგონებების წერა, იმაზე, რაც დრომ ვერ წაშალა და არ დაწერილა...

ნორა ედიშერაშვილი, 19 იანვარი, 2016 წელი, კასპი, (გაგრძელება იქნება).

.

სასკოლო სპორტული ოლიმპიადა

საქართველოს სასკოლო სპორტული ოლიმპიადა, რომელიც ტარდება საქართველოს ბავშვთა და მოსწავლე-ახალგაზრდობის სპორტის ეროვნული ფედერაციის სისტემითა და საერთაშორისო სასკოლო სპორტის ფედერაციის მოთხოვნებით, ითვალისწინებს შეჯიბრებებს 2000-2001 წლებში დაბადებულ მოსწავლე ვაჟებსა და გოგონებს შორის სპორტის სხვადასხვა სახეობებში.

ოლიმპიადა მოიცავს 3 ძირითად ეტაპს. პირველი ეტაპია რაიონული პირველობები, სადაც გამარჯვებული სკოლის გუნდები მონაწილეობას მიიღებენ რეგიონის პირველობაზე. მეორე ეტაპია რეგიონული პირველობები, სადაც გამარჯვებული სკოლის გუნდები რეგიონის სახელით გაემგზავრებიან ოლიმპიადის ფინალურ თამაშებზე, რომელიც ჩატარდება საზაფხულო ბანაკში 20 ივნისიდან 15 ივლისის ჩათვლით.

გასული წლის ნოემბრის თვიდან დაიწყო და ამჟამადაც მიმდინარეობს კასპის რაიონის მოსწავლეთა სასკოლო ოლიმპიადა, რომელსაც ატარებს კასპის მუნიციპალიტეტის სპორტის დაწესებულებების გაერთიანება (დირექტორი შოთა გოგიაშვილი), კასპის №44 კომპლექსური სასპორტო სკოლა (დირექტორი ჯუმბერ სიდამონიძე).

ჩატარდა შეჯიბრებები კალათბურთში (ვაჟები, გოგონები), ფრენბურთში (ვაჟები, გოგონები), მაგიდის ჩოგბურთში (ვაჟები, გოგონები). გამოვლინდნენ გამარჯვებული სკოლის გუნდები: 1. კალათბურთი (ვაჟები) – კასპის №2 საჯარო სკოლა; 2. კალათბურთი (გოგონები) – ახალქალაქის საჯარო სკოლა; 3. ფრენბურთი (ვაჟები) – დოესის საჯარო სკოლა; 4. ფრენბურთი (გოგონები) – სასირეთის საჯარო სკოლა; 5. მაგიდის ჩოგბურთი (ვაჟები, გოგონები) – ორივე შეჯიბრში გამარჯვებული გამოვიდა სოფ. ახალციხის საჯარო სკოლა.

ოლიმპიადა გრძელდება.

ეზოს თოჯინები

ალბათ, თქვენც ბევრჯერ შეხვედრიხართ ხელსაქმეში გაწაფულ, გამორჩეული ფანტაზიით დაჯილდოებულ ქალბატონებს, რომლებიც ცდილობენ დიდედა-ბებიისგან ნასწავლი, მეხსიერებაში დალექილი მოგონებების წყალობით აღადგინონ დავიწყებული ქარგვა-ქსოვისა და კერვის ძველი ტრადიციები... აი, სწორედ ასეთთა რიცხვს მიეკუთვნება ეზატის საბავშვო ბაგა-ბაღის აღმზრდელი, "ოქროსხელება" ქალბატონი მანანა იაშვილი, რომელიც უდიდესი სიყვარულით მოგვითხრობს საკუთარი ხელით შეკერილ თოჯინებზე.

— პროფესიით პედაგოგი გახლავართ, დიდი ხანია, რაც სკოლასთან და ბავშვებთან მიწევს ურთიერთობა, თუმცა, ხელსაქმე ჩემი ცხოვრების განუყოფელი ნაწილია. კავთურის ხეობაში დავიბადე და გავიზარდე, კავთისხევის საშუალო სკოლა მაქვს დამთავრებული, დაწყებითი განათლება მივიღე ეზატში და ქართლის ეს უძველესი კუთხე ჩემთვის სულ სხვა გრძნობებსა და განცდებთან არის დაკავშირებული. გამოგიტყდებით და ალბათ, ტრადიციებისა და ხელსაქმის სიყვარული სწორედ იქიდან მომდევს. ბავშვობაში ხატვით ვიყავი გატაცებული, ყველაფერს ვხატავდი, მთებსა და მდინარეებს, ლამაზ პეიზაჟებს. სკოლის დამთავრების შემდეგ ჯერ თოიძის სახელობის სამხატვრო სასწავლებელში ვსწავლობდი მხატვარ-დეკორატორის განხრით, მერე კი, პუშკინის სახელობის პედაგოგიურ ინსტიტუტში ჩავირიცხე, თან კავთისხევის სკოლაში ვასწავლიდი.

— ლამაზი თოჯინები შეგიკერიათ, როდის დაიწყეთ კერვა ან რა იყო თქვენი შთაგონების წყარო?

— დიახ, დიდი ხნის წინ დავიწყე თოჯინების კერვა, მაგრამ ნამდვილად ვერ მივცემ ჩემს თავს იმის უფლებას ვთქვა, რომ რომელიმე მათგანი ხელოვნების ნიმუშია მეთქი, ამიტომ ვამბობ, რომ ეს უბრალოდ, ჩემი ფანტაზიის ნაყოფია... ისე კი, შემიძლია გითხრათ, რომ ბავშვობაში, როგორც ყველა პატარა გოგონას, მეც მიყვარდა სათამაშოები, განსაკუთრებით კი, ერთი თოჯინა მიყვარდა, ჩემი ძმის (გულისხმობს ყველასათვის კარგად ცნობილ და კოლორიტულ სპორტსმენს ვალიკო იაშვილს, რედაქცია) ნაჩუქარი იყო, 13- 14 წლის ბიჭმა თავისთვის გადანახული ფულით დაბადების დღეზე მიყიდა, ამიტომ ძმის ნაჩუქარს ხელიდან არ ვუშვებდი, სულ თან დავატარებდი, მაგრამ სამწუხაროდ, ერთხელ, სრულიად შემთხვევით მდინარეში ჩამივარდა და წყალმა წაიღო, ძალიან შევწუხდი, ვტიროდი, მახსოვს, როგორ მაწყნარებდა ბებია, იგი მკერავი იყო, გამუდმებით საკერავთან იჯდა, ჩემს დასამშვიდებლად დრო მაინც გამონახა, უჯრიდან ლამაზი ქსოვილი ამოიღო, ორფად მოკეცა, ზედ ცარცით თოჯინის გამოსახულება მოხატა, გამოჭრა და უცებ შეკერა, თვალები და თმები ძაფებით დაუმშვენა და ლამაზი კაბაც ჩააცვა. დიდხანს მქონდა ბებიის შეკერილი თოჯინა, ყოველთვის მეგონა, რომ ბებიას სითბო, სული და გული ამ თოჯინაში იდო, ამიტომაც მერჩივნა ამ თოჯინით თამაში და საერთოდაც, ვფიქრობდი, რომ ხელით შეკერილი ნაჭრის თოჯინები ბევრად სჯობია ხელოვნურ, პლასტმასისაგან დამზადებულ თოჯინებს, სულ მეჩვენებოდა, თითქოს, ისინი შორიდან, ცივი სამყაროდან იყვნენ მოსულები. დამერწმუნეთ, როდესაც რაიმეს შენი ხელით აკეთებ, ყოველთვის აქსოვ მასში შენს სითბოსა და გულის ნაწილს, განწყობას, მეტიც, გგონია, რომ დადებითად მუხტავ მას.. მერე, როდესაც წამოვიზარდე, გადავწყვიტე დამოუკიდებლად, ბებიისგან ნასწავლი მეთოდით მეც შემეკერა ნაჭრის თოჯინა, გამომივიდა კიდეც და თუ დღეს ნემსსა და ძაფს, საქარგს ვფლობ, ეს ყველაფერი ბებიის (მისი დიდი ბებია მავრა ჩივაძე ხელსაქმით განთქმული ქალბატონი ყოფილა. რედაქცია) დიდი დამსახურებაა, სწორედ მან მაზიარა ძველი ტრადიციებისა და ხელსაქმის სიყვარულს.

— როგორც მითხრეს ბევრს მოსწონს თქვენი ნახელავი, თქვენს პატარა აღსაზრდელებსაც ვგულისხმობ, საინტერესოა, როგორ არქმევთ სახელებს თოჯინებს?

— თავიდან, როდესაც კერვას ვიწყებ, რა თქმა უნდა, არანაირი ესკიზი არ მაქვს, ჯერ თავს ვამზადებ, სახეს რომ დავასრულებ, მერე ვხვდები, თუ ვინ უნდა იყოს ეს თოჯინა. აი, სწორედ ამ დროს ჩემი აღსაზრდელების სურვილებიც მეხმარებიან, თუმცა, სახელებს არასოდეს ვარქმევ, ხშირად მეკითხებიან, სახელს რატომ არ არქმევო, მაგრამ რატომღაც ასე მირჩევნია. საერთოდ, ბავშვებს ძალიან მოსწონთ, როდესაც კერვის პროცესს ვაყურებინებ, მეც ვფიქრობ, რომ ამ დროს მათ ხელსაქმისადმი ინტერესი უჩნდებათ, ყოველნაირად ვცდილობ, რომ დავაინტერესო, რადგან ხელსაქმე ძალიან სასარგებლოა, კერვა, ქსოვა, ქარგვა ამშვიდებს ადამიანს, მითუმეტეს ბავშვებს, ხსნის ყოველგვარ დაძაბულობასა და კომპლექსს. ბევრმა ძალიან კარგად ისიც იცის, რომ ხელის გულზე განლაგებული აქტუალური წერტილები მჭიდრო კავშირშია ადამიანის ყოველ ორგანოსთან და ხელსაქმის დროს ყველა წერტილი მოქმედებაშია და რასაკვირველია, ეს ყველაფერი დიდ გავლენას ახდენს ადამიანის მთლიანი ორგანიზმის სტიმულირებაზე... აი, ამაზე ფიქრმა და ჩემი აღსაზრდელების სიყვარულმა ამაღებინა ხელში ნემსი და ძაფი და ისევ ბავშვობაში დამაბრუნა, ამიტომ დავიწყე თოჯინების კერვა, გაგიმხელთ იმასაც, რომ ამან ხელოვნებისადმი სიყვარული კიდევ უფრო გამიძლიერა.

— იქნებ, სწორედ ამან განაპირობა ის ფაქტორი, რომ თურმე, თქვენი ინიციატივითა და თაოსნობით ბაღში ხშირად იმართება საბავშვო წარმოდგენები.

— ვიდრე საბავშვო ბაღში გამართულ წარმოდგენებზე გიამბობდეთ, მინდა გითხრათ, რომ ჩემი შეკერილი ნაჭრის თოჯინები ბაღის გარდა ჯერ არსად წარმიდგენია, თუ არ ჩავთვლი ორიოდ შემთხვევას, ეს იყო წლების წინ და სულ ახლახან, კასპობის დღესასწაულზე. ხოლო, რაც შეეხება საბავშვო ბაღში დადგმულ წარმოდგენებს, მინდა იცოდეთ, რომ ეზატელ ბავშვებს აქვთ საკუთარი თოჯინების თეატრი. საქმე ის გახლავთ, რომ ძალიან დამეხმარნენ კოლეგები და ერთობლივი ძალისხმევით ჩამოვაყალიბეთ პატარა თეატრი და ახლა, როცა ბაღის აღსაზრდელებს ვუყურებ, როგორი პათოსითა და სიხარულით ადევნებენ თვალს ჯოხებზე წამოცმულ, ჩემს მიერ შეკერილი ნაჭრის თოჯინების თამაშს პაწაწინა სცენაზე, გული სიხარულითა და ოპტიმიზმით მევსება. დღემდე ახსოვთ პატარებსა და მათ მშობლებს, მოწვეულ სტუმრებს შარშან, ეზატის ბაღში გამოსაშვებ ზეიმზე დადგმული სანახაობრივი წარმოდგენა თოჯინების შესრულებით. რამდენიმე პიესა დავდგით, მათ შორის, ბავშვებს ყველაზე მეტად მოეწონათ "წითელქუდას ზღაპარი" და "კურდღელი და მელია." მოკლედ, ჩემს თოჯინებს მართალია, ჯერჯერობით ფართო აუდიტორიის წინაშე წარდგენის საშუალება არ მიეცათ, მაგრამ ვიმედოვნებ, რომ ეს დღე აუცილებლად იქნება.

ესაუბრა: რუსუდან ხეჩუაშვილი.

„ნიკოფსიიდან დარუბანდამდე„

დავით აღმაშენებლის ხსენების დღესთან დაკავშირებით კასპის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის (დირექტორი ლელა პეტრიაშვილი) მოსწავლეებმა გამართეს ლიტერატურული ღონისძიება სახელწოდებით "ნიკოფსიიდან დარუბანდამდე", რომელიც გაიმართა კასპის სამუსიკო სკოლის დარბაზში. სანახაობრივი ლიტერატურული წარმოდგენა, რომელიც მოამზადა მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის ისტორიისა და მხარეთმცოდნეობის წრის ხელმძღვანელმა ნანა მერებაშვილმა, თითქმის საათნახევარი გაგრძელდა და დარბაზში შეკრებილთა დიდი მოწონება დაიმსახურა... მოსწავლეებმა, რომლებიც გამოწყობილი იყვნენ ქართული სამოსით /მეფე დავითი, სპასალარი, დიდგვაროვნები, მეფის მუზარადიანი მხლებლები/ სცენაზე გააცოცხლეს დავითის დროინდელი ქართველთა საგმირო ისტორიები. ბავშვებმა მხატვრულად წაიკითხეს ანა კალანდაძის, თინათინ მღვდლიაშვილის, მერაბ კოსტავას და სხვა ქართველ მოღვაწეთა დიდი მეფისადმი მიძღვნილი ნაწარმოებები.

ღონისძიებაში მონაწილეობდნენ: ქეთა ბეჟანიშვილი, ქეთი ჭალისური, ლუკა მერებაშვილი, სალომე სამხარაძე, აწზორ დალაქიშვილი, მიხეილ სამხარაძე, ლაშა თინიკაშვილი, ანი ბაისონაშვილი, ნიკა კობაიძე, ნინო ხაჩირაშვილი, მარი მერებაშვილი, მარიამ კაციაშვილი. ბავშვთა შემოქმედება შეაფასა სახელოვნებო სკოლების გაერთიანების დირექტორმა ლალი ჯანჯალაშვილმა და მადლობა გადაუხადა ღონისძიების ორგანიზატორებს, მოსწავლეებსა და მშობლებს.

კასპის მუნიციპალიტეტის სახელოვნებო სკოლების გაერთიანება.

ორი ახალი სკვერი და ორი სპორტული მინი მოედანი

კასპში ორი ახალი სკვერის და ორი სპორტული მინი მოედნის მოწყობის სამუშაოები მიმდინარეობს. სკვერი მინი სპორტული მოედნით მირიან მეფის ქუჩაზე ე.წ. "რკინა-ბეტონის ბინებთან", მეორე მინისპორტული მოედანი ხეთაგუროვის ქუჩაზე, ხოლო მეორე სკვერი-რუსთაველისა და ტოლსტოის ქუჩების გადაკვეთაზე მდებარე მრავალსართულიანი საცხოვრებელი ბინების ეზოში მოეწყობა.

სკვერები ლითონის კვადრატული ღობით, სავალი ბილიკები ქვიშა-ხრეშოვანი მასალით და ფერადი ბეტონის ფილებით ეწყობა. გაკეთდება სასმელი წყლის შადრევანი, ღამის განათება, ბავშვებისათვის დამონტა

*დასასრული გვ8.

მისი პირველი ცხოვრებიდან ცოტა რამ ვიცით...

ლამისყანის ჯამბაკურ-ორბელიანების სასახლე-მუზეუმის დირექტორი სოფიო ცუცუნაშვილი-ფავლენიშვილი:

ხელნაწერთა ინსტიტუტში, ივანე ჯავახიშვილის არქივში დაცულია დიდი მეცნიერის პირადი პასპორტი, რომლის მე-9 გვერდზე ვკითხულობთ: "კნიაზი ივანე ალექსანდრეს ძე ჯავახოვი 1906 წლის 30 ოქტომბერს დაქორწინდა კნიაგინა ნასტასია ნიკოლოზის ასულ ჯამბაკურ-ორბელიანზე".

დამეთანხმებით, ივანე ჯავახიშვილი (1876-1940), როგორც მრავალმხრივი ეროვნული მოღვაწე, უნივერსიტეტის დამაარსებელი, "ქართველი ერის ისტორიის" ავტორი, საზოგადოებისათვის კარგადაა ცნობილი; მისი პირადი ცხოვრებიდან კი ცოტა რამ თუ ვიცით...

ივანე ჯავახიშვილი მუსიკის განსაკუთრებული მოყვარული გახლდათ: მოწაფეობისას ვიოლინოზე უკრავდა, სკოლის გუნდშიც მღეროდა... შემდეგში მან ფასდაუდებელი წვლილი დასდო ქართული მუსიკალური კულტურის განვითარებას. ამის დასტურად მისი ზაქარია ფალიაშვილისადმი დამოკიდებულებაც კმარა: "ივანეს გარეშე ზაქარია ერთ ჩამღერებასაც არ გაამხელსო", – უთქვამთ თანამედროვეთ. ზაქარია ფალიაშვილმა ცნობილი რომანსი "ნანა შვილო, ნანინავ" ივანე ჯავახიშვილს მიუძღვნა და როცა გახარებულმა მეცნიერმა მას დიდი მადლობა გადაუხადა, ზაქარია ფალიაშვილის პასუხი ასეთი იყო: "თქვენ, როგორც ერთადერთი გულწრფელი მოტრფიალე ქართული ხელოვნებისა, ბევრად მეტის ღირსი ხართ".

ყოველივე ამას კი იმიტომ მოგახსენებთ, რომ სწორედ მუსიკის დიდმა სიყვარულმა განსაზღვრა ივანე ჯავახიშვილის პირადი ცხოვრება.

ყველაფერი კი ასე დაიწყო:

პეტერბურგის უნივერსიტეტის აღმოსავლურ ენათა ფაკულტეტის პრივატ-დოცენტი, 29 წლის ივანე ჯავახიშვილი 1905 წლის ზაფხულს სამშობლოში ატარებდა. თბილისში, ერთ-ერთ კონცერტზე მისი ყურადღება მიიპყრო ქალიშვილმა, რომელიც ვიოლინოზე უკრავდა. სულგანაბული უსმენდა მეცნიერი, მოხიბლა მისმა მუსიკალურმა ნიჭმა. მაშინვე დაინტერესდა მისით. გააცნეს. ქალიშვილს შვენოდა ღიმილი, ცეკვა... ეს გახლდათ პირველი ქართველი ვიოლინისტი ქალი, 21 წლის ნასტასია ჯამბაკურ-ორბელიანი (1884-1969). მას თბილისის მუსიკალური სკოლა წარჩინებით დაემთავრებინა.

ის დღე განსაკუთრებული აღმოჩნდა ივანე ჯავახიშვილის ცხოვრებაში. ნასტასიას ყოველი შემდგომი ნახვისას რწმუნდებოდა, რომ მის გარეშე ვეღარ იცხოვრებდა. მშობლებმა არჩევანი მოუწონეს. მეგობრებს დაჯერება გაუჭირდათ. "საყვარელო ძმაო ვანო! როგორ უნდა გამოვთქვა ჩემი სიხარული! რა სიტყვებით უნდა აღვწერო ჩემი აღტაცება?! ვანო, შენ ცოლს ირთავ! ნუთუ? ღმერთო... ვერც კი ჩამოხველ საქართველოში და უკვე ცოლის შერთვა დააპირე! რა მოხდა მაგისთანა?.. მიხარიან, ძალიან მიხარიან, რადგან კარგ ქალიშვილს ირთავ და კარგ ახალ ცხოვრებასაც შეუდექი" – სწერდა შეყვარებულ მეგობარს ივანე ნიჟარაძე."დიდ არს ძალი

სიყვარულისაი"– პასუხობდა მეგობრებს ივანე ჯავახიშვილი (XIII ს. ქართველი მოღვაწის არსენ ამარტოლის ამ სიტყვების გამეორება ძლიერ ყვარებია დიდ ივანეს).

ივანე ჯავახიშვილმა და ანასტასია ჯამბაკურ-ორბელიანმა პეტერბურგში იქორწინეს. ჯვრისწერა 1906 წლის 30 ოქტომბერს შედგა. წლების შემდეგ ეს დღე ღიმილით გაუხსენებია ნასტასია ჯამბაკურ-ორბელიანს: "ეკლესიაში მისულებს მღვდელმა გამოგვიცხადა, ჯავახიშვილი და ჯამბაკურ-ორბელიანი ერთი გვარია და ჯვარს

ვერ დაგწერთო. ივანე უხსნიდა, მღვდელი არ იჯერებდა. მე თხლად მეცვა, მციოდა. სანამ ვანომ დაარწმუნა, რომ სხვადასხვა გვარი იყო, მე ლამის გავიყინეო" (ნინო ჯავახიშვილის ნაამბობიდან).

1915 წლამდე პეტერბურგში ცხოვრობდნენ. იქვე შეეძინათ ქალიშვილი ნათელა ჯავახიშვილი (1908-1983).

ივანესა და ანასტასიასათვის მუსიკის მოსმენა მაცოცხლებელი მოთხოვნილება იყო. ანასტასია საკმაოდ კარგი მევიოლინე იყო, მაგრამ ოჯახით დატვირთულმა

ვეღარ შესძლო სწავლის გაგრძელება პეტერბურგში. ამას ივანე ჯავახიშვილი ძალიან განიცდიდა. პატრიოტულ იდეებზე აღზრდილ ნასტასიას კარგად ესმოდა მეუღლის მოღვაწეობის ეროვნული მნიშვნელობა. მხარში ედგა და ეხმარებოდა მას. ამიტომ იყო, რომ დაოჯახების შემდეგ, ივანე ჯავახიშვილმა კიდევ უფრო მეტად გააფართოვა სამეცნიერო მუშაობა. ყოველი ახალი წიგნის პირველ ეგზემპლარს კი საყვარელ მეუღლეს უძღვნიდა.

1915 წელს მეორე შვილი შეეძინათ, კახა ჯავახიშვილი (1915-1987), 1917 წელს კი – მესამე, ალექსანდრე ჯავახიშვილი (1917-1997).

სამეცნიერო და საზოგადოებრივი საქმიანობით დატვირთული ივანე ჯავახიშვილი ახერხებდა ყოფილიყო მზრუნველი მამა და მეუღლე. ნათელა ჯავახიშვილის "მოგონებებში" ვკითხულობთ: "იგი უაღრესად ადამიანური მამა იყო. მამა, რომელსაც შესანიშნავად შეეძლო ბავშვის გაბანება, დაძინება; მამა, რომელსაც დიდი დატვირთვის მიუხედავად, ერთი წუთით არ მოუკვლია ზრუნვა, სითბო, სიტკბო და დიდი გული".

საქართველოში დაბრუნებულ ივანე ჯავახიშვილს რთულ პირობებში უხდებოდა მუშაობა. ცხოვრობდნენ ანასტასიას მამიდის მარიამ ჯამბაკურ-ორბელიანის ბინაში უამრავ ნათესავთან ერთად, საკუთარი სამუშაო კაბინეტიც კი არ ჰქონდა დიდ მეცნიერს. ოჯახის წევრები ხშირად აწუხებდნენ სხვადასხვა საკითხებზე. ივანე ჯავახიშვილი ისეთი თავაზიანობით პასუხობდა მათ, თითქოს არაფერს ნიშნავდა, რომ ამ დროს ფიქრობდა, აზროვნებდა. უნდა შეჩერებულიყო, პასუხი გაეცა და კვლავ დაბრუნებოდა თავის სამუშაოს. ანასტასია ყოველ ასეთ ვითარებას განიცდიდა, ღელავდა, ცდილობდა მშვიდი გარემო შეექმნა მეუღლისათვის. არც საჭმლის მომზადებას ანდობდა ვინმეს მუდმივად დიეტაზე მყოფი ივანესთვის. შვილებს თავმდაბლობას უნერგავდა. "ჩვენ დედა ისე გვზრდიდა, – წერს ნ. ჯავახიშვილი "მოგონებებში", – რომ ყოველთვის ვერიდებოდით მამასთან ერთად ყოფნის დროს გამოჩენას. არასდროს არც დედა და არც ჩვენ არ ვთვლიდით თავს მამის ღირსად".

იყო წლები, ჯავახიშვილების ოჯახს ძალიან გაუჭირდა. უნივერსიტეტიდან დათხოვნილი ივანე ჯავახიშვილი უმუშევარი დარჩა. ხანდისხან პურის ფულიც არ ჰქონდათ. ბავშვებს არაერთხელ მოუსმენიათ მშობლების საუბარი იმაზე, თუ მეორე დღისთვის რა სახსარი გამოეძებნათ. მათ შორის ბზარი არ გაჩენილა, პირიქით, ერთმანეთს ამხნევებდნენ, აიმედებდნენ... შვილებს ღირსეულ მოქალაქეებად ზრდიდნენ.

კასპის მუნიციპალიტეტის მუზეუმების გაერთიანება.

გუნდი „იბერიონი„ დაფუძნდა

***დასასრული**

მაისურები და რაგბის ბურთები გადასცეს და საწვრთნელ მეცადინეობას დაესწრნენ.

მომავალ რაგბისტებს საწვრთნელი მეცადინეობა ფრანგმა რაგბისტმა ჩაუტარა. "იბერიონი"-ს დამფუძნებელმა ზაზა მარიდაშვილმა ისაუბრა გუნდის მომავალ გეგმებზე და აღნიშნა, რომ ფრანგი კოლეგების მიზანი საქართველოში რაგბის აკადემიის ჩამოყალიბებაა და ისინი ბავშვთა კონტინგენტს იძიებენ, რომელთაც მომავალში საფრანგეთში სპორტული გზის გაკვალვაში დაეხმარებიან.

სტუმრებს კასპის მუნიციპალიტეტის გამგებელმა გოჩა გოჩიტაშვილმა კასპში რაგბის განვითარებაში დახმარება აღუთქვა, შემდეგ კი ერთად ქალაქში მშენებარე ახალი სპორტული კომპლექსი დაათვალიერეს.

დალი კორკომაშვილი, კასპის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის მთავარი სპეციალისტი.

ორი ახალი სკვერი და ორი სპორტული მინი მოედანი

***დასასრული**

ჟდება გასართობი ატრაქციონები, გაკეთდება ფანჩატური სკამებით, ხოლო დამატებით დასასვენებელი სკამებიც დაიდგმება. მუნიციპალიტეტში ბოლო სამი წლის განმავლობაში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა სკვერებისა და სპორტული მოედნების მოწყობას, რომლის მიზანიც მოსახლეობის დასვენება, ახალგაზრდების დროის გონივრულად გამოყენება და ბავშვების გართობაა. აღნიშნული სამუშაოები მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტიდან ფინანსდება (121 252 ლარი) და მასზე ადგილობრივ მოსახლეობას ვასაქმებთ - აღნიშნა კასპის მუნიციპალიტეტის გამგებელმა გოჩა გოჩიტაშვილმა.

გამოიწერეთ "ახალი ცხოვრება" ცხრილით ჩვენი მეითხვილი!

ჭიდაობა: პირველად უფროსებში ...



გიორგი კაციაშვილისათვის, შარშანდელი წარმატებული ერთ-ერთი ჭაბუკი მოჭიდავისათვის, 2016 წლის ანგარიშში პირველი შეჯიბრება იყო გამოსვლა ბულგარეთის ქალაქ სოფიაში, სადაც ჩატარდა "ევროპის ღია თასის" გათამაშება. იქ საქართველოს ძიუდოისტთა ნაკრების წევრებმა სამივე სინჯის თითო-თითო მედალი მოიპოვეს. 73 კგ. წონით კატეგორიაში მოასპარეზე გიორგი ვერცხლის მედლით დაკმაყოფილდა. არადა, ოქროს დასაკუთრების შანსიც ჰქონდა: გადამწყვეტ ფინალურ ორთაბრძოლაში, ვაზარით უგებდა რუს მეტოქეს (რომელსაც, სხვათა შორის, რუსობისა არაფერი ეცხო, სახელ-გვარით თუ ვიმსჯელებთ — საიან ონდარი...), მაგრამ...

თუმცა, მივყვეთ თანმიმდევრობით:

პირველ წრეში, როგორც ჩანს, გიორგიმ "დაისვენა".

მეორეში წილისყრამ უკრაინის სახელით მოასპარეზე ქართველ მოჭიდავეს, ნიკო საჯაიას, დააპირისპირა, მაგრამ იგი იუკოებითა და ვაზარით დაჯაბნა.

მესამე წრეში შეემეტოქა ძლიერად მიჩნეულ ბელარუს ვადიმ შოკას და ისიც ვაზარით დააჯილდოვა.

მეოთხედფინალში ასეთივე უპირატესობით გზიდან ჩამოიცილა უნგრელთა იმედი — ფრიგეს საბო, რომელიც, ვაზარის შემდეგ, გაფრთხილებებით მოახსნევინა.

აი, ნახევარფინალური შეხვედრა კი სულაც ფინალურის ფარდი გამოდგა, რადგანაც ამ ჯერზე ჩვენებური ჭაბუკის წინაშე შარშანდელი ანალოგიური შეჯიბრების გამარჯვებული, ჰოლანდიელი სამ ვან ტვენდენდე აღიმართა შეუვალი ციხე-სიმაგრის კედელივით... და რადგანაც მეორე ცდა მეტოქისა იყო, პირველი კი ქართველისა, თითქოს, გამოცდილების თვალსაზრისით, უპირატესობა ნიდერლანდელს უნდა ჰქონოდა, გიორგიმ ის კედელი უსწრაფესად ჩამოანგრია: ოციოდე წამი დაახარჯა მის საიპონედ გადაჩეხვას და, ამჯერად, გზა ფინალამდე გაიკაფა.

ზემოთ უკვე ითქვა, ფინალურ ჯახს ვაზარით იგებდაო. დიახ, რუსთა ახალგაზრდა ტალანტად შერაცხულ მოჭიდავესთანაც ვაზარით დაწინაურდა, მაგრამ ერთ მომენტში ანაზდეულად შეცდა და "წმინდა" უცხოტომელმა შეირგო.

და, მაინც, წლის პირველ ევროპულ ტურნირში გამარჯვების შანსის ხელიდან გაფრენის მიუხედავად, გიორგი კაციაშვილის სოფიური გამოსვლა ნამდვილად წარმატებული იყო და დადებით შეფასებას იმსახურებს, რადგანაც 19 წლის ჭაბუკმა (20 წელი ორიოდე თვეში შეუსრულდება), ჯერ ერთი, რომ პირველად იასპარეზა ასაკით უფროსთა რანგის შეჯიბრებაში და, მეორეც, ხარისხობრივად ფრიად შთამბეჭდავად იჭიდავა.

ფუტსალი: 7-7 ბურთი იქით-აქეთ, 9 – დაბრუნდაშვილისთვის

14 თებერვალს, კვირას, კასპის ფუტსალის გუნდმა "გენერალმა" დედაქალაქის ახალი სპორტის სასახლის მცირე დარბაზში გამართა სუპერლიგა — ბ-ის მე-8 ტურის კალენდარული მატჩი (მოთამაშეები ორკვირიანი ინტერვალით ასპარეზობენ).

აი, რას წერდა ამ თამაშის შესახებ ქართული სპორტული გაზეთი "ლელო" 16 თებერვლის ნომერში: "სენსაციური შედეგით დასრულდა გათამაშების ფავორიტი და აუტსაიდერი გუნდების — ზესტაფონის "ფეროსა" და კასპის "გენერლის" უაღრესად დაძაბული და საინტერესო დაპირისპირება. მათთვის სასიცოცხლო მნიშვნელობის შეხვედრაში კასპელებმა 3 ქულის მოპოვება შეძლეს და ბოლო ტურში მოგების შემთხვევაში პლეიოფის საგზური განაღდებული ექნებათ".

კარგია, რომ კასპელმა ფუტსალელებმა შეუძლებელი რეალობად აქციეს, ანუ სენსაცია მოახდინეს.

ჩვენი მხრიდან იმასაც დავძენთ, რომ "გენერალმა" ფავორიტად მიჩნეულ გუნდს მოუგო ანგარიშით 7:4... "ლელომ" კი იგი აუტსაიდერად იმიტომ მოიხსენია, რომ წინა ტურში "გენერალმა" თითქმის ანალოგიური ანგარიშით (3:7) დათმო მატჩი საქართველოს უნივერსიტეტის გუნდთან (სამივე ბურთი გაიტანა, ანუ "ჰეთთრიკი" შეასრულა ბექა დაბრუნდაშვილმა).

31 იანვრის თამაშის პირველი ტაიმი კასპელებმა 0:2-ზე დათმეს. მართალია, მატჩის განახლებისთანავე მოახერხეს ანგარიშის გათანაბრება და მესამე ბურთის გატანასაც ცდილობდნენ, მაგრამ საკმარისი იყო, მეტოქეს დაესწრო, რომ ამის შემდეგ მათმა მონდომებამ ჩაილურის წყალი დალია...

საინტერესოა, რომ უნივერსიტეტელმა სტუდენტებმა ზუსტად იმავე ანგარიშით (7:3) მოუგეს "ვივუსის" გუნდს 14 თებერვალსაც და ლიდერობაც წაართვეს. გამოდის, რომ მათ და კასპელებს 7-7 ბურთის გატანა კი შეუძლიათ, მაგრამ ლეხურისპირელები ამდენს საკუთარშიც უშვებენ...

ამიტომ საკითხავი ერთი გვრჩება: "გენერალი" ბოლო ტურში როგორ ითამაშებს? თებერვლის მიწურულის თამაშს კი რამდენად დიდი დატვირთვა ეძლევა, ამის შესახსენებლად კიდევ ერთხელ გადავიკითხოთ ზემოციტირებული "ლელოსეული" შეფასება. დიახ, ჩვენ გვსურს "გენერლის" გუნდური წარმატება. კონკრეტული მოთამაშის მიღწევას რაც შეეხება, ასეთია შარშანდელი გოლეადორი ბექა დაბრუნდაშვილი, რომელიც 9 გატანილი გოლით წელსაც გათამაშების ბომბარდირთა სამეულშია.

ფეხბურთი: პირველი წრის შედეგი

კასპის საფეხბურთო სკოლის (დირექტორი ავთანდილ ჯალალი) მოსწავლეთა ასაკობრივი გუნდები წარმატებით მონაწილეობენ საქართველოს რეგიონალური ფედერაციების (შიდა ქართლის, სამხრეთ ოსეთის) ჩემპიონატებში. ასეთი შეფასების საფუძველს იძლევა მათ მიერ 2015-16 წლების გათამაშების პირველი წრის შედეგები: უმეტესობა ლიდერობს.

შეჯიბრებათა პირველ ეტაპზე, რომელიც შარშანდელ სექტემბერ-ოქტომბერში დაიწყო და დეკემბრის ბოლომდე გაგრძელდა, ჩვენმა ბიჭებმა მეტნაკლები რაოდენობის თამაშები გამართეს, მაგრამ უმეტესობა მოიგეს, სამმა გუნდმა კი სულაც 100-პროცენტიანი შედეგი აჩვენა. მაგალითად, 12–13-წლიანთა გუნდმა (მწვრთნელი შავლეგ მაჭარაშვილი), 6-დან ყველა მოიგო (ბურთების საუცხოო შეფარდებით 31:1) და 18 ქულა აქვს. ასევე, ქულების მაქსიმალური რაოდენობა დააგროვეს 11-12 და 13-14-წლიანთა გუნდებმა (მწვრთნელი ზაზა ჯალალი) — შესაბამისად, 15 და 12 ქულა. პირველმა 5 თამაშში 14 ბურთი გაიტანა და მხოლოდ 2 გაუშვა, მეორემ კი 20 და 3.

სკოლა 2 გუნდით (კასპის "განთიადი-"თ და სამთავისის "სამთავისით") არის წარდგენილი სამხრეთ ოსეთის რეგიონალურ გათამაშებაში. აქ 12 გუნდია. კასპელი 14-15 წლის ჭაბუკები (მწვრთნელი შავლეგ მაჭარაშვილი) ლიდერთა სამეულში არიან მეორე პოზიციაზე მხოლოდ იმიტომ, რომ ლიდერს ბურთების სხვაობით ჩამორჩებიან. ოღონდ, მათ ერთი თამაში მარქაფში აქვთ და მოგების შემთხვევაში პოტენციური ლიდერები გახდებიან. მაშ, ასე: პირველ წრეში მათ აქტივშია 7 მოგება (8-დან) და 21 ქულა, ბურთები 32:10-ზე... სამთავისელებს (მწვრთნელი დავით კობაური) რაც შეეხება, ისინი შედარებით მოკრძალებულად გამოიყურებიან: 8-დან 2 თამაში მოიგეს, 12 ბურთი გაიტანეს და ორი ამდენი გაუშვეს.

ურიგოდ არც ყველაზე უმცროსები, 9-10-წლიანები (მწვრთნელი ავთანდილ ჯალალი) თამაშობენ. აქ მხოლოდ 4 გუნდია და ამიტომ ორივე წრე ჩაათავეს. კასპელმა ბიჭუნებმა 6-დან 5 თამაშში იყოჩაღეს ბურთების დადებითი შეფარდებით (23:10).

გათამაშებას ლიდერობს 16-17-წლიანთა გუნდიც (მწვრთნელი მალხაზ ჯალალი), რომელმაც 9 თამაშში 22 ქულა დააგროვა (7 მოგება და თითოთითო ფრე და წაგება, ბურთები 27:5-ზე).

ბავშვთა რეგიონალური ჩემპიონატების მეორე წრის თამაშები მარტიდან განახლდება. ვიმედოვნებთ, საგაზაფხულო სეზონიც წარმატებით გასრულდება.

კასპის მუნიციპალიტეტის სპორტის დაწესებულებების გაერთიანება.

გამოგვეხმაურეთ

ფრთიანი ფრაზები

ბავშვობაში ნათქვამი "ფრთიანი ფრაზები" მთელი ცხოვრება ალამაზებენ მოგონებებს, ისინი დამსახურებულად იკავებენ ადგილს ოჯახურ "ოქროს ფონდში," თაობიდან თაობას გადაეცემიან და ყველა შინაური თავყრილობის მთავარი სახალისო საამბობნი ხდებიან.

შეინახეთ თქვენი ბავშვობის საინტერესო ნუთები ჩვენს რუბრიკაში "მაკნატუნა" და გახდით სასურველი სტუმარი.

ლევით ალმასშერიბეიოს მიეძღვნა

***დასასრული. დასაწყისი გვ4.** ბავშვო განყოფილების ინიციატივით გამართულ ღონისძიებაზე, რომელიც დავით აღმაშენებლის ხსენების დღეს მიეძღვნა. შეკრებილ საზოგადოებას მიესალმა კასპის ბიბლიოთეკების გაერთიანების დირექტორი თეა ბარნაბიშვილი. დავით აღმაშენებლის ღვაწლსა და მის ეპოქალურ დამსახურებაზე დაწვრილებით ისაუბრეს თავიანთ გამოსვლებში ბიბლიოთეკის სპეციალისტებმა ციცინო ქენქაძემ, ლალი თათანაშვილმა, ნანა ჯანანაშვილმა, ეთერ ნიპარიშვილმა, ირმა გზირიშვილმა.

წაკითხულ თემებთან დაკავშირებით როგორც მოსალოდნელი იყო, შეკითხვები დასვეს ღონისძიებაზე მოსულმა კასპის საჯარო სკოლების მოსწავლეებმა, მათ შორის იყვნენ: მარი ბალხამიშვილი, ბაქარ ყურაშვილი, გიორგი ბალხამიშვილი, ლუკა ბიტიაშვილი, მარიამ ბალხამიშვილი, ქეთი გზირიშვილი, ანი ჯავახიშვილი, რომა მჭედლიშვილი, გიორგი გზირიშვილი. საგულისხმო გახლავთ ის ფაქტიც, რომ მეექვსე, მეშვიდე კლასის მოსწავლეებმა უდიდესი ინტერესი და თქვენ წარმოიდგინეთ, გარკვეული ცოდნაც კი გამოავლინეს წმინდა მეფე დავით აღმაშენებელთან დაკავშირებით...

და ბოლოს, შეხვედრის ერთ-ერთმა ორგანიზატორმა ლია მენაბდიშვილმა მოკლედ მიმოიხილა ღონისძიების მნიშვნელობის ასპექტები და ბიბლიოთეკის მესვეურთა სახელით გულწრფელი მადლობა გადაუხადა დამსწრე საზოგადოებას, განსაკუთრებით კი მოსწავლეებს აქტიურობისათვის.

კასპის მუნიციპალიტეტის ბიბლიოთეკების გაერთიანება.

წელიწადის ძველი დრო

პაპრიკა – წელიწადის ძველი დრო ელოდება თქვენ ეაქმიხ-ძაყრებას. ძოჭრძანდით პოლაქციაში, ეაეგვაცანით თქვენი ნაძყეგრეჭი (წაჭრეოდეინეთ ელექტრონული ვერსია) და ეაცანით ისინი ნაზოვადოებას.

ШПС "ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯიას" კასპის ცემენტის ქარხანა აცხადებს ვაკანსიებს

შ.პ.ს. "ჰაიდელბერგცემენტჯორჯიას" ქალაქ კასპის ცემენტის ქარხანა აცხადებს ვაკანსიებს შემდეგ თანამდებობებზე:

1. ავტომტვირთავის მძღოლი;

2. მეხვიმრეი (ტავთისხევის ტიჰქვის ტახიეი);

3. ჰორიზონტალური ტონვეიერის ოპერატორი (ტავთისხევის ტიჰქვის ტახიეი).

გთხოვთ, წარმოადგინოთ თქვენი ხელზემე ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტში ა/წლის **3** მარტის ჩათვლით შემდეგ მისამართზე:

ქ. ქასპი, ფარნავაზის ქ.№**2.**

E-mail:maia.Kaciashvili@heidelbergcement.ge



„კეხურა„ გილოცავთ დედის დღეს!

სოფლის მხარდაჭერის პროგრამა

საქართველოს მთავრობამ 2016 წლის 4 თებერვლის №54 დადგენილებით დაამტკიცა სოფლის მხარდაჭერის პროგრამის დამტკიცების შესახებ გამოყოფილი თანხების ხარჯვის პროცედურები.

ყველა სოფელს თავად შეუძლია გამოყოფილი თანხის ფარგლებში, სოფლის კრებაზე შეარჩიოს არსებული პრობლემები და ყველაზე პრიორიტეტული მოაწესრიგოს.

კასპის მუნიციპალიტეტში "სოფლის მხარდაჭერის პროგრამა-სთან" დაკავშირებით, მუნიციპალიტეტის სოფლებში მოსახლეობის კრებები მიმდინარეობს.

კასპის მუნიციპალიტეტის სახელოვნებო სკოლების გაერთიანება მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა გაერთიანების თანამშრომელი

დალი გაბრიელაშვილი

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

კასპის გიორგი ხორგუაშვილის სახელობის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის თანამშრომლები სამძიმარს უცხადებენ ნანა მიდელაშვილს ძმის

ლაშა მიდელაშვილის

გარდაცვალების გამო.

კასპის მუნიციპალიტეტის მუზეუმების გაერთიანება სამძიმარს უცხადებს ამავე გაერთიანების თანამშრომელს ნანა მიდელაშვილს ძმის

ლაშა მიდელაშვილის

გარდაცვალების გამო.

კასპის მეოთხე საჯარო სკოლის პედაგოგიური კოლექტივი და ტექნიკური პერსონალი თანაგრძნობას უცხადებენ სკოლის დირექტორს ქეთევან ხითარიძეს მამის

სულიკო ხითარიძის

გარდაცვალების გამო.

რედაქციაში შემოსული წერილები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდებათ

გაზეთი იბეჭდება
გამომცემლობა
„ კოლორში „

რედაქცია ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
სტატიის ავტორის აზრი, შესაძლოა არ ემთხვეოდეს რედაქციის აზრს. მოტანილი ფაქტების სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი.
სარეკლამო მასალებისა და განცხადებების შინაარსზე რედაქცია პასუხს არ აგებს.
რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება.

რედაქტორი
ნანა მერეებაშვილი

რედაქციის მისამართი:
2600 ქ კასპი
სააკაძის ქ. № 68
ტელეფონი 22-25-76